სტუდენტთა ძირითადი პრობლემები წერით და ზეპირ მეტყველებაში და მათი დაძლევის გზები (გამოკითხვის შედეგების ანალიზი)

The Main Problems of Students in Writing and Speaking and Ways to Overcome Them (Analysis of Survey Results)

ნათია კენჭიაშვილი
Natia Kentchiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
The Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სტუდენტის წერითი და ზეპირი მეტყველება, მართლწერა, მართლმეტყველება
Keywords: Student's Written and Oral Speech, Spelling, Orthography

მოხსენების მიზანია იმ ძირითად პრობლემათა გაანალიზება, რომელიც გვხვდება სტუდენტთა წერით და ზეპირ მეტყველებაში. გარდა ამისა, განხილულია მათი დაძლევისა და გაუმჯობესების გზები. ამ საკითხთა გასარკვევად, ემპირიული კვლევა დაეფუძნა ინტერვიუს მეთოდს. გამოიკითხა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი კურსის სტუდენტები. სულ გამოიკითხა სხვადასხვა პროგრამის 18-დან 20 წლამდე ასაკის 50 სტუდენტი. კვლევაში მონაწილე სტუდენტებს დავუსვით კითხვა: „თქვენი აზრით, რა ძირითად პრობლემას ხედავთ თქვენი, როგორც სტუდენტის წერით და სამეტყველო პრაქტიკაში და როგორ გესახებათ მათი დაძლევისა და გაუმჯობესების გზები?“, რაზეც მივიღეთ მეტად მრავალფეროვანი პასუხები. კვლევის სიახლე ისაა, რომ საკითხთა ანალიზისას მთლიანად ვეყრდნობით სტუდენტთა მოსაზრებებს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ წინამდებარე კვლევა არ ისახავს მიზნად გამოკითხვის შედეგად მოპოვებულ მასალაში დაფიქსირებული ენობრივი შეცდომების ანალიზს. კვლევისას აქცენტი კეთდება ინტერვიუების მხოლოდ შინაარსობრივ მხარეზე – იმაზე, თუ როგორ ხედავენ თავად სტუდენტები აღნიშნულ საკითხს, საკუთარი, თუ სხვათა გამოცდილების გათვალისწინებით და როგორ ესახებათ წერით და ზეპირ მეტყველებასთან დაკავშირებული ამა თუ იმ პრობლემის დაძლევის გზები. გამოკითხულ სტუდენტთა უმეტესობა აცნობიერებს, რომ არსებობს გარკვეული სახის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება მათივე წერითი და ზეპირი მეტყველების პრაქტიკაში არსებულ ენობრივ შეცდომებს; ზოგიერთი მათგანი ასახელებს, კონკრეტულად რომელი მხარე აქვს გასაძლიერებელი და რა სახის ხარვეზები არსებობს, მაგალითად, პუნქტუაციური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, სტილისტიკური თუ სხვ. ზოგიერთი სტუდენტი, მართალია, იზიარებს და ეთანხმება აზრს, რომ ნამდვილად აქვთ პრობლემები წერით და ზეპირ მეტყველებაში, თუმცა ცალკე ვერ გამოყოფს იმას, თუ კონკრეტულად რა სახის. უმთავრესი პრობლემა, რომელსაც სტუდენტები ასახელებენ, არის აუდიტორიის წინაშე გამოსვლის შიში, სტუდენტი არ არის დაუფლებული არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების სწორად ფორმულირებას, ასევე მეტყველების მიზნობრიობიდან გამომდინარე შესაფერისი სტილის შერჩევას, საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბებას და შესაფერისი ლექსიკის გამოყენებას, გრამატიკის ცუდად ცოდნა, ენაში ბარბარიზმებისა და ჟარგონების გამოყენება და ა.შ. მთლიანობაში რომ შევაფასოთ, საანალიზო მასალის შესწავლამ და სტუდენტთა მხრიდან გამოთქმულმა რეკომენდაციებმა საინტერესო და მრავალფეროვანი შედეგები აჩვენა.

ლიტერატურა:

არაბული, ავთ. (2008). ქართული მეტყველების კულტურა: უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, თბილისი: უნივერსალი;

გულუა, ნ. (1968) გვიყვარდეს ენა ქართული: ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის საკითხები, საბჭოთა აფხაზეთი. სოხუმი, 27 აპრილი;

ვანიშვილი, შ. (2006). მეტყველების მაღალი კულტურისა და ღრმა ანალიტიკური აზროვნებისათვის, გორის მრავალპროფილიანი მცირე აკადემია: სამეცნიერო ნაშრომთა კრებული თანამედროვე აქტუალურ საკითხებისათვის, გორი, გვ. 106-111;

ვანიშვილი, შ. (2011). მეტყველების დაბალი კულტურა – ჩვენი საზოგადოების აქილევსის ქუსლი, ჩვენი უნივერსიტეტი, სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტი, გორი, თებერვალი, №2, გვ. 37-41;

ზურაბაშვილი, ელ. (2018). წერითი და ზეპირი მეტყველების თავისებურებანი, ინტელექტი = Intelecti: პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი, თბილისი: საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი, №2 (61). გვ. 80-82;

კიკნაძე, გრ. (1962). „ისმინე, სწავლის მძებნელო...“ ავამაღლოთ წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა, მისაღები გამოცდების შედეგები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაზეთი „კომუნისტი“, თბილისი, №203 (12411), ოთხშაბათი, 29 აგვისტო;

კილაძე, თ. (2019). წერითი და ზეპირი მეტყველების ზოგიერთი თავისებურების შესახებ, განათლება = Ganatleba = Ганатлеба: ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი, თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, №2 (25). გვ. 58-63;

რამიშვილი, ვ. (შემდგ.) (1983). მეტყველების კულტურის პროგრამა: სპეცკურსი: ზეპირი და წერითი მეტყველების, სტილისტიკის, მართლწერის და პუნქტუაციის საფუძვლები პედ. ინსტიტუტის პედ. ფაკულტეტისთვის, საქართველო, თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა;

შარაშენიძე, ნ. (2012). ვირტუალური კომუნიკაცია როგორც წერითი და ზეპირი მეტყველების სინთეზი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი. ქუთაისი, ტ. XII, გვ. 226-230.

The subject of the present study is the analysis of the main problems encountered in students' written and oral practice. In addition, we have discussed ways to overcome and improve them. To find out these issues, empirical research was based on the interview method. It was attended by first-year students of higher education institutions in Georgia. A total of 50 students aged 18 to 20 from various programs were interviewed. The survey was conducted in a remote format. We asked the students in the study the following wording: "What do you think is the main problem you see as a stu-

dent in writing and teaching practice and how do you see ways to overcome and improve it?", to which we received a variety of answers. Thus, the novelty of the research is the fact that in the analysis of the issues we rely entirely on the opinions expressed by the students. It should also be noted that the present study does not aim to analyze the linguistic errors observed in the material obtained as a result of the survey. The research focuses only on the content of the interviews - how the students themselves see the issue, taking into account their own or others' experiences, and how they deal with the problem of writing and speaking. Most of the students surveyed are aware that there are certain types of problems associated with linguistic errors in their own written and oral practice; Some of them name specifically which side has to be reinforced and what kind of gaps there are, for example, punctuation, morphological, syntactic, lexical, stylistic, etc. Some students, though, share and agree with the idea that they do indeed have problems with writing and speaking, though they cannot single out exactly what kind. The main problem that students are pointing out is the fear of appearing in front of an audience, the student is not proficient in formulating arguments and counter-arguments correctly, as well as choosing the appropriate style based on the purpose of speech, formulating their opinion convincingly and using appropriate vocabulary, etc. All in all, the study of the analytical material and the recommendations made by the students showed interesting and varied results.

References:

Arabuli, Avt. (2008). kartuli met'q'velebis k'ult'ura: umaghlesi sasts'avleblebis st'udent'ebisatvis. [Georgian Speech Culture: For Higher Education Students]. Tbilisi: Universali;

Gulua, N. (1968) gviq'vardes ena kartuli: zep'iri da ts'eriti met'q'velebis k'ult'uris sak'itkhebi. [Love the Georgian Language: Issues of Oral and Written Culture]. Soviet Abkhazia. Sukhumi, April 27;

Vanishvili, Sh. (2006). met'q'velebis maghali k'ult'urisa da ghrma analit'ik'uri azrovnebisatvis. [For a High Culture of Speech and Deep Analytical Thinking]. Gori Multidisciplinary Small Academy: A Collection of Scientific Papers on Contemporary Issues, Gori, pp. 106-111;

Vanishvili, Sh. (2011). met'q'velebis dabali k'ult'ura – chveni sazogadoebis akilevsis kusli. [Low culture of speech – the Achilles heel of our society], Our University, Gori Teaching University, Gori, February, №2, pp. 37-41;

Kiknadze, Gr. (1962). „ismine, sts'avlis mdzebnelo..." avamaghlot ts'eriti da zep'iri met'q'velebis k'ult'ura. ["Listen, seeker of learning ..." Raise the culture of written and oral speech], the results of entrance exams at Tbilisi State University. newspaper "Communist", Tbilisi, №203 (12411), Wednesday, August 29;

Kiladze, T. (2019). ts'eriti da zep'iri met'q'velebis zogierti taviseburebis shesakheb. [On Some Peculiarities of Written and Oral Speech]. Quarterly peer-reviewed and peer-reviewed scientific journal Education, Tbilisi: Georgian Technical University, №2 (25), pp. 58-63;

Ramishvili, V. (ed.) (1983). met'q'velebis k'ult'uris p'rograma. [Speech Culture Program]. Special Course: Fundamentals of Oral and Written Speech, Stylistics, Spelling, and Punctuation for the Ped. Faculty of Ped. Institute, Georgia, Tbilisi: State University Publishing and Printing House;

Sharashenidze, N. (2012). virt'ualuri k'omunik'atsia rogorts ts'eriti da zep'iri met'q'velebis sintezi. [Virtual Communication as a Synthesis of Written and Oral Speech]. Akaki Tsereteli State University: A Periodical Scientific Journal of the Faculty of Humanities. Kutaisi, Vol. XII, pp. 226-230;

Zurabashvili, El. (2018). ts'eriti da zep'iri met'q'velebis taviseburebani. [Peculiarities of written and oral speech]. Periodical Scientific Journal, Intellect. Tbilisi: Georgian Science and Society Development Foundation, №2 (61), pp. 80-82.